09 MAI

RUGACIUNEA

SF.CUVIOS

SIO DE LA MGVIMSK-GEORGIA

საველდრებელი ლოცვა

ჰოჲ ღმრთისა დიდო სათნომყოფელო და სასწაულთმოქმედო, უნეტარესო მამაო შიო! ანგელოზთა თანამკვდრო, მოციქულთა მბაძველო და მოწამეთა მსგავსად მოღუაწეო, სამონაზნოჲთა ცხორებითა მძლავრისა ტყუემყოფელო, მეუდაბნოეთა წინამძღვარო, მვედრებელთა შენთა სასწაულებრივითა ძალითა შემწეო და ბნელთა და ბოროტთა ძალთა უხილავად მაოტებელო.

ჰოჲ უნეტარესო მამაო შიო, ლოცვითა შენითა გვჴსნენ ჩუენ ყოვლისა ბოროტისაგან და სატანისა მახეთაგან, ჰაერისმცველთაგან და საზუერეთა, ცეცხლისაგან გეჰენიისა. ბოროტთა სულთაგან შეპყრობილთა მკურნალო, გვჴსნენ ხილულთა და უხილავთა მტერთაგან, და ყოვლისა ჭირისა და საფრჴისაგან. ევედრე შენგან შეყუარებულსა უფალსა, რათა ძალითა უძლეველითა თჳსთა ანგელოზთა მიერ განდევნოს ჩუენგან ყოველი ბოროტი.

ჰოდ საღმრთოდს დიდებისა უწმიდესო ვარსკულავო, მეოხ-გუეყავ წინაშე ყოვლადწმიდისა სამებისა, რომლისა წინაშე აწ წარდგომილ ხარ, რადთა გვჴსნას ჩუენ ძმათა შორის ბრძოლისაგან და მოგუმადლოს უშფოთველი და გონიერი ცხორებად, მიწასა ნაყოფიერებად, ჰაერი კეთილშეზავებული, საღმრთოდთა ნათლითა განბრწყინვებად და მართალთა თანა სავანეყოფად, რამეთუ მას შუენის დიდებად, მადლობად და თაყუანისცემად საუკუნითგან და უკუნისამდე. ამინ.

ღირს არს ჭეშმარიტად, რადთა გადიდებდეთ შენ, ღმრთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლადუბიწოდ და დედად ღმრთისა ჩუენისა. უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაფიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყჳსა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.

დიდებად მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.